Global Reporting Initiative™

THE GLOBAL COMPACT

ურთიერთქავშირის დამყარება

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სახელმძღვანელო მითითებები
და გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ

სპონსორები

ABN·AMRO

COPEL

REPSOL YPF

მადლობები

ვაეროს „გლობალური შეთანხმება“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ (GRI) მადლობას უხდის ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომელთაც განუზომელი წვლილი შეიტანეს ამ გამოცემის მომზადებაში:

კრის ამსინგერი | ABN AMRO
ფუად ბენსედიკი | Vigeo
ხოსე მანუელ სინ კაბრერო | Repsol YPF
ანა გამბლინგ | Holcim
დანსტან ჰოუპი | Business for Social Responsibility
პიერ მაზო | EDF
სუზი პონტაროლი | Copel
იენს რუპი | Coca-Cola HBC
ტომოკო სასაკი | Toshiba Corporation
ბერნარდ შვაგერ | Robert Bosch GmbH
კორნის ვან დერ ლუგტი | United Nations Environment Programme

ასევე: კონფერენციის „თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისათვის“ (ოსლო, 2007 წლის მარტი) საკონსულტაციო სემინარის მონაწილეებს; „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშგების მესამე სემინარის (ჟენევა, 2007 წლის აპრილი) მონაწილეებს.

„გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) პროექტის გუნდს:
ჯეფ სენს, ვაეროს „გლობალური შეთანხმების“ ოფისი
დამირ დრაგიჩევიჩს, GRI
მარკ ბრაუნლის, Responsibility Matters Inc.

მოამზადა უპასანა იუნგმა.

ვაეროს „გლობალური შეთანხმება“

ვაეროს „გლობალური შეთანხმება,“ რომელიც 2000 წელს დაარსდა, აერთიანებს ვაეროს სააგენტოებს, პროფესიულ კავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სამთავრობო სტრუქტურებს. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ათი უნივერსალური პრინციპის განხორციელებას ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით „გლობალური შეთანხმება“ ცდილობს ზემოხსენებული ათი პრინციპი ბიზნეს საქმიანობაში დანერგოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ავრეთვე ხელი შეუწყოს ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ვაეროს გლობალური მიზნების მიღწევისაკენ. „გლობალური შეთანხმება“ კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე ფართომასშტაბიანი ნებაყოფლობითი ინიციატივაა მსოფლიოში, რომელიც 3000-ზე მეტ ხელმომწერ ორგანიზაციას აერთიანებს 120 ქვეყნიდან. უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის „გლობალური შეთანხმების“ შესახებ ეწვიეთ ვებგვერდს: www.unglobalcompact.org.

ანგარიშგების გლობალური ინიციატივა

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) თვალსაზრისით, ნებისმიერი ორგანიზაციის ანგარიშგება ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების შესახებ ისეთივე რეგულარული და შედარებადი უნდა იყოს, როგორიც ფინანსური ანგარიშგებაა. „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ ამ ხედვას ახორციელებს GRI ანგარიშგების ფორმატის მუდმივი განვითარების, დახვეწისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის გაუმჯობესების გზით. GRI ანგარიშგების ფორმატი ერთობლივი მუშაობისა და შეთანხმებისკენ მიმართული პროცესის შედეგად შეიმუშავა საერთაშორისო ქსელმა, რომელშიც ჩართული იყო ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, შრომისა და პროფესიული ორგანიზაციების ათასობით წარმომადგენელი. GRI ანგარიშგების ფორმატის ამსახველ ძირითად დოკუმენტს „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებები“ წარმოადგენს.

ურთიერთკავშირის დამყარება

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სახელმძღვანელო მითითებები
და გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ

სამართლებრივი პასუხისმგებლობა
გაეროს „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) დირექტორთა საბჭო მხარს უჭერს GRI მდგრადი განვითარების ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებას ყველა ორგანიზაციის მიერ, თუმცა GRI სახელმძღვანელო მითითებებზე სრულად ან ნაწილობრივ დაფუძნებული ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება ანგარიშმგებელი ორგანიზაციების სრული პასუხისმგებლობის სფეროდ რჩება. არც გაეროს „გლობალური შეთანხმება“, არც „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ დირექტორთა საბჭო და არც თავად Stitching Global Reporting Initiative არ იღებენ პასუხისმგებლობას იმ შედეგებსა თუ ზარალზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება მოჰყვეს ანგარიშის მომზადებისას GRI სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებას ან იმ ანგარიშების გამოყენებას, რომელიც ეფუძნება GRI სახელმძღვანელო მითითებებს.

საავტორო უფლება
ამ დოკუმენტის საავტორო უფლება დაცულია გაეროს „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (Stichting Global Reporting Initiative - GRI) მიერ. დოკუმენტის გადაღება და გავრცელება საინფორმაციო მიზნით და/ან მისი გამოყენება მდგრადი განვითარების ანგარიშის მოსამზადებლად ნებადართულია „ანგარიშგების გლობალური ინიციატივისა“ და „გლობალური შეთანხმების“ წინასწარი ნებართვის გარეშე. თუმცა დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის გადაღება, შენახვა, თარგმნა ან რაიმე ფორმით გამრავლება (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოასლით, ჩანაწერის სახით ან სხვ.) ნებისმიერი სხვა მიზნებისთვის „ანგარიშგების გლობალური ინიციატივისა“ და „გლობალური შეთანხმების“ ოფისის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საფირმო ნიშანდება
გაეროსა და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ საფირმო ნიშნები ვრცელდება გაეროს „გლობალურ შეთანხმებაზე“, „გლობალური შეთანხმების“ ლოგოზე, „ანგარიშგების გლობალურ ინიციატივაზე“, „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ლოგოზე, მის სახელმძღვანელო მითითებებსა და აბრევიატურაზე „GRI".

სარჩევი

3 „გლობალური შეთანხმება“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“: მდგრადი განვითარების ღირებულებათა ერთიანი პლატფორმა

5 შესავალი
„გლობალური შეთანხმების“ ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ (COP) – მოკლე მიმოხილვა
GRI ანგარიშგების ფორმატის მოკლე მიმოხილვა

9 ურთიერთკავშირის დამყარება „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სტანდარტებს შორის

11 გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ ინტეგრირება G3 მდგრადი განვითარების ანგარიშში

27 დასკვნითი შენიშვნები: ანგარიშგება როგორც პროცესი

დანართები

28 დანართი ა: „გლობალური შეთანხმების“ პრინციპებისა და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ინდიკატორების შესაბამისობის ცხრილი

29 დანართი ბ: რესურსები

„გლობალური შეთანხმება“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ (GRI): მდგრადი განვითარების ღირებულებათა ერთიანი პლატფორმა

მდგრადი განვითარება და ბიზნეს ინტერესები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ამდენად, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციებისათვის საკუთარი პასუხისმგებელი საქმიანობის წარმოჩენა. ამასთანავე, ცხადია, რომ უნივერსალური პრინციპების (კერძოდ, ადამიანის უფლებებსა და შრომით უფლებებთან, გარემოს დაცვის სტანდარტებსა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული პრინციპების) ინტეგრირებამ გლობალურ საბაზრო ეკონომიკაში გრძელვადიან ბიზნეს-წარმატებასთან ერთად შეიძლება სოციალური და ეკონომიკური საკითხების უკეთ მოგვარებამდე მიგვიყვანოს. ამ პოტენციალის რეალიზაციისათვის, ასევე საზოგადოების მხრიდან მზარდი მოლოდინის დასაკმაყოფილებლად ორგანიზაციებს ესაჭიროება საყოველთაოდ აღიარებული და გამჭვირვალე გლობალური სტრუქტურები, რომლებიც დაეხმარება მათ საკუთარ საქმიანობაში დანერგონ მდგრადი განვითარების პრინციპები, შეაფასონ და მართონ ამ მიმართულებით მიღწეული შედეგები და ანგარიში წარადგინონ მათ შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „გლობალური შეთანხმება“ (GC) და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ (GRI) გახლავთ ნებაყოფლობითი ინიციატივები, რომლებიც ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებისა და გაუმჯობესებული ფუნქციონირების ხელშეწყობის გზით დამატებით როლს თამაშობენ უნივერსალური პრინციპების დანერგვაში. „გლობალური შეთანხმება“ თავისი 10 პრინციპის მეშვეობით ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას ორგანიზაციის საქმიანობასა და ხედვაში სოციალური პასუხისმგებლობის ძირეული პრინციპების დასანერგად. GRI მდგრადი განვითარების ანგარიშგების „სახელმძღვანელო მითითებები“ კი გვაწვდის ინსტრუმენტს, რათა გაიზომოს „გლობალური შეთანხმების“ პრინციპებს განხორციელებაში მიღწეული შედეგები და ანგარიშგება მოხდეს მათ შესახებ. ის საყოველთაო პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება „გლობალური შეთანხმება“, GRI „სახელმძღვანელო მითითებებშიც“ ამოსავალ პრინციპებს წარმოადგენს. ამიტომაც ეს ორი ინიციატივა ურთიერთშემავსებელია და ერთიან ფასეულობათა პლატფორმას სთავაზობს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ თავიანთ ბიზნეს საქმიანობასა და სამოქმედო პოლიტიკაში მდგრადი განვითარების პრინციპები დანერგონ.

„გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება. ამის კვალდაკვალ ისინი უფრო და უფრო აქტიურად თანამშრომლობენ, რასაც ხელს უწყობს მათი მისიებისა და სამოქმედო ჩარჩოების ურთიერთშემავსებელი ხასიათი. „ანგარიშგების გლობალური ინიციატივისა“ და „გლობალური შეთანხმების“ თანაავტორობით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელო „ურთიერთკავშირის დამყარება” (Making the Connection). ეს დოკუმენტი შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ ორი გლობალური ინიციატივის ანგარიშგების ფორმატების შეთანხმება, რათა უფრო ეფექტურად და იოლად მოხდეს „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელება და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენა.

წარმატების საზომი

„გლობალურ შეთანხმებას“ მიუერთდა 100-ზე მეტი ქვეყნის 4 000-ზე მეტი ორგანიზაცია.

თითქმის 60 ქვეყნის 1 000-ზე მეტმა ორგანიზაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ისინი სარგებლობენ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სახელმძღვანელო მითითებებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო დაგეხმარებათ ერთმანეთს შეუთანხმოთ GRI მესამე თაობის „სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება და „გლობალური შეთანხმების“ ქსელის წევრებისათვის სავალდებულო ყოველწლიური ანგარიშგება „მიღწეული შედეგების შესახებ“ (Communication on Progress - COP).

„გლობალური შეთანხმების“ ფორმატით ანგარიშის მოსამზადებლად სხვა სახელმძღვანელოც არსებობს, მაგრამ GRI გვთავაზობს ანგარიშგების საყოველთაოდ აღიარებულ „სახელმძღვანელო მითითებებს“ (G3), რომელთა დახმარებით შესაძლებელია უფრო ხარისხიანი და ინფორმატიული ანგარიშის მომზადება. ამიტომაც „გლობალური შეთანხმება“ თავის წევრებს ურჩევს გამოიყენონ GRI მდგრადი განვითარების ანგარიშგების „სახელმძღვანელო მითითებები“. ანალოგიურად, „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ ურჩევს ანგარიშმგებელ ორგანიზაციებს დაეფუძნონ „გლობალური შეთანხმების“ პირნციპებს, რომლებიც ყველაზე ფართოდ აღიარებულ ფორმატს გვთავაზობს ბიზნეს კომპანიის სტრატეგიისა და საქმიანობის შესათანხმებლად უნივერსალურ ღირებულებებსა და მდგრადი განვითარების მიზნებთან.

წინამდებარე სახელმძღვანელოს თავდაპირველი სამუშაო ვარიანტი 2006 წლის ოქტომბერში გამოიცა. „გლობალური შეთანხმების“ ქსელის წევრებმა, GRI ქსელის წევრმა კომპანიებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები ამ სახელმძღვანელოს გასაუმჯობესებლად. მათი რეკომენდაციები და უწყვეტი მხარდაჭერა გაერთიანებული ერების „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივისათვის“, მართლაც, ძალზე მნიშვნელოვანია. მხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა ფენების მუდმივი თანამშრომლობით არის შესაძლებელი უფრო მდგრადი, თანამონაწილეობითი და ჰარმონიული გლობალური ეკონომიკის განვითარება.

გეორგ კელლი
გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ოფისი
აღმასრულებელი დირექტორი

ერნსტ ლიხტერინგენი
„ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“
აღმასრულებელი დირექტორი

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო — „ურთიერთკავშირის დამყარება , გთავაზობთ რჩევებსა და მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა უპასუხოთ ერთდროულად „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ მოთხოვნებს. ამგვარად, ამ ბროშურის მიზანია დაეხმაროს კომპანიებს შეათავსონ GRI ფორმატზე დაფუძნებული „მდგრადი განვითარების ანგარიში“ და გლობალური შეთანხმების „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ“ (COP).

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს არ წარმოადგენს შემოგთავაზოთ მდგრადი განვითარების ანგარიშის ან „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშის მომზადების ერთადერთი სწორი გზა. ყოველი კომპანია განსაკუთრებულია და ანგარიშის მომზადების საკუთარი მეთოდი აქვს. მიუხედავად ამისა, '„გლობალური შეთანხმება'' ურჩევს ორგანიზაციებს, ანგარიში საკუთარი საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ მოამზადონ GRI „სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით. ეს რჩევა გამომდინარეობს „გლობალური შეთანხმებისა“ და GRI-ს ურთიერთშემავსებელი ხასიათისგან.

ხოლო იმ კომპანიებს, რომელთაც არ სურთ საკუთარი „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ“ (COP) დააფუძნონ GRI „სახელმძღვანელო მითითებებზე“ (G3), ან რომლებიც გეგმავენ ეტაპობრივად გაზარდონ GRI „სახელმძღვანელო მითითებების“ გამოყენების ხარისხი — „გლობალური შეთანხმება“ სთავაზობს „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) მომზადების პრაქტიკულ სახელმძღვანელოს[1]. ეს სახელმძღვანელო „გლობალური შეთანხმების“ ათივე პრინციპს ცალ-ცალკე განიხილავს და თითოეული პრინციპისათვის გაწვდით კონკრეტულ რჩევებს — თუ როგორ უნდა განხორციელდეს თითოეული პრინციპი და როგორ უნდა წარმოადგინოთ ანგარიში მისი განხორციელების შესახებ.

გლობალური შეთანხმების „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ“ (COP) კომპანიებს აწვდის ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ გახდნენ ლიდერები, ხელი შეუწყონ სწავლებას, დიალოგის წარმართვასა და ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

გლობალური შეთანხმების „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ“ (COP) – მოკლე მიმოხილვა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელსაც კომპანია საკუთარ თავზე იღებს, როდესაც იგი „გლობალურ შეთანხმების“ წევრი ხდება, არის ყოველწლიურად „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ მომზადება და გამოქვეყნება. „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) მიზანია დაინტერესებულ მხარეებს (მომხმარებლებს, კომპანიის თანამშრომლებს, შრომით ორგანიზაციებს, აქციონერებს, მედიას, ხელისუფლებას) საჯაროდ მიაწოდოს ინოფრმაცია იმის თაობაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწია კომპანიამ „გლობალური შეთანხმების“ 10 პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში ანგარიში შეიძლება ასევე შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანა კომპანიამ პარტნიორული პროექტების მეშვეობით გაეროს გლობალური მიზნების მიღწევაში.

ამგვარი ანგარიშგების მოთხოვნის მიზანია „გლობალური შეთანხმების“ მონაწილეთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე ინიციატივის ერთიანობისა და ურღვევობის შენარჩუნება. ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა აგრეთვე მიზნად ისახავს კორპორაციული საქმიანობის ამსახველი მდიდარი მონაცემთა ბანკის შექმნას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება. კომპანიებისათვის ანგარიშგება მიღწეული შედეგების შესახებ არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ განახორციელონ მართვა, ხელი შეუწყონ სწავლებას, დიალოგის წარმართვასა და ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

[1] http://unglobalcompact.org/docs/communication_on_progress/4.3/pock_guide.pdf

როდესაც კომპანია მიუერთდება „გლობალური შეთანხმების" ინიციატივას, ორი წლის თავზე მან პირველად უნდა წარმოადგინოს „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ", შემდეგ კი ყოველწლიურად გამოაქვეყნოს ამგვარი ანგარიში, საჯაროდ გააცნოს ის დაინტერესებულ მხარეებს და განათავსოს „გლობალური შეთანხმების" ვებ-გვერდზე. კომპანია, რომელიც ვერ მოახერხებს მითითებულ ვადებში წარმოადგინოს ანგარიში, „გლობალური შეთანხმების" ვებ-გვერდზე აღნიშნული იქნება, როგორც „კომპანია, რომელიც ანგარიშგებას თავს არიდებს",[2] ხოლო ის კომპანიები, რომლებიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხებენ ანგარიშის მოზადებასა და გამოქვეყნებას, „უმოქმედო" კომპანიათა სიაში მოხვდებიან და ამოცვივდებიან „გლობალური შეთანხმების" მონაწილეთა მონაცემთა ბაზიდან.

თუ გსურთ გაეცნოთ პასუხებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე, ეწვიეთ ვებ-გვერდს:
http://www.unglobalcompact.org/COP/FAQ.html

ანგარიშგების პროცესის ძირითადი კომპონენტებია:

1. **მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადება.** თუმცა არ არსებობს ანგარიშის მომზადების უნივერსალური ფორმატი, ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ სამ ძირითად კომპონენტს:

   ა. **განცხადება მუდმივი მხარდაჭერის შესახებ** „გლობალური შეთანხმების" მიმართ. ამ განცხადებას შეიძლება შეიცავდეს ანგარიშის შესავალი, კომპანიის თავმჯდომარის, დირექტორის ან სხვა მაღალი რანგის ხელმძღვანელის მიმართვა.

   ბ. **პრაქტიკული საქმიანობის აღწერა** (ვალდებულებები, კომპანიის პოლიტიკა, მენეჯმენტის სისტემები და საქმიანობები). ამ ნაწილში, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ასახოთ ასევე პარტნიორული პროექტები, რომლებიც ჩამოყალიბდა „გლობალური შეთანხმების" პრინციპების განხორციელების მიზნით, მას შემდეგ, რაც თქვენ შეუერთდით ამ ინიციატივას, ან უკანასკნელი ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ.

   ც. **შედეგების გაზომვა.** ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სტანდარტული ინდიკატორები და მაჩვენებლები.

2. **ანგარიშის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის.** ანგარიში წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც კომპანიები დაინტერესებულ მხარეებს ღიად აწვდიან ინფორმაციას „გლობალური შეთანხმების" ათი ძირითადი პრინციპის განხორციელებაში მიღწეული შედეგების შესახებ. ამდენად, ეს ანგარიში შეიძლება ინტეგრირებული იყოს კომპანიის წლიურ ანგარიშში ან მდგრადი განვითარების ანგარიშში.[3]

3. **ანგარიშის განთავსება „გლობალური შეთანხმების" ვებ-გვერდზე.** გარდა იმისა, რომ შესაძლებელია ანგრიშის გავრცელება სხვადასხვა სახით, მონაწილეებს სთხოვენ განათავსონ საკუთარი ანგარიში „გლობალური შეთანხმების" ვებ-გვერდზე და, თუ შესაძლებელია, მიუთითონ ასევე კომპანიის ვებ-გვერდის ბმული, სადაც შეიძლება დოკუმენტის ნახვა.[4]

---

2 non-communicating companies.

3 წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც აპირებენ წლიური მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადებას (ბეჭდური ან ელექტრონული სახით). იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ამზადებს ასეთ ანგარიშს, გლობალური შეთანხმების „ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ" შეიძლება ცალკე დოკუმენტად მომზადდეს, რომელიც გავრცელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით (როგორიცაა ვებ-გვერდი, საინფორმაციო ბიულეტენი, ძიდა ორგანიზაციული ქსელი, განცხადებების დაფა, დარიგება ხელფასთან ერთად).

4 ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა განათავსოთ თქვენი ანგარიში „გლობალური შეთანხმების" ვებ-გვერდზე, იხილეთ შემდეგ მისამართზე: http:/www.unglobalcompact.org/cop/

„ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ“ (GRI) ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

GRI ანგარიშგების ფორმატი გვაწვდის მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმოადგინოთ ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ მდგრად განვითარებაში საკუთარი საქმიანობით შეტანილი წვლილისა და მოხდენილი ზეგავლენის შესახებ.

GRI ანგარიშგების ფორმატი შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის, ზომისა და ადგილმდებარეობის ორგანიზაციას. მართლაც, ამ ფორმატს უკვე სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ათასზე მეტი კომპანია, ასოციაცია და ორგანიზაცია იყენებს მდგრადი განვითარების ანგარიშების მოსამზადებლად. GRI ანგარიშგების ფორმატი მუდმივად იხვეწება და განივრცობა ანგარიშგების გამოცდილების დაგროვების კვალდაკვალ, ასევე ანგარიშის წარმდეგენთა და ანგარიშის მკითხველთა მოთხოვნების შეცვლის საფუძველზე.

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ ღია და გამჭვირვალე პროცესს იყენებს თავისი ფორმატის ახალი კომპონენტების შემუშავებისა და არსებული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით. ამ პროცესში ჩართული არიან ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და სხვა პროფესიული ინსტიტუტების წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან, რომელთა თანამშრომლობისა და აზრთა შეთანხმების საფუძველზე უმჯობესდება და ვითარდება GRI ანგარიშგების ფორმატი. ამჟამად შემუშავებულია მდგრადი განვითარების მიმართულებით ანგარიშგების „სახელმძღვანელო მითითებების“ მესამე ვარიანტი (G3), რომელიც 2006 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული სამწლიანი მუშაობის შედეგად, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სექტორში დასაქმებული 3000-ზე მეტი ადამიანი მთელი მსოფლიოდან.

მესამე თაობის „სახელმძღვანელო მითითებები“ (G3) გახლავთ ის საფუძველი, რომელსაც ემყარება GRI ანგარიშგების ფორმატის დანარჩენი კომპონენტები და რომელიც განსაზღვრავს მდგრადი განვითარების ანგარიშის ძირითად შინაარსს, რაც ერთნაირად მიესადაგება ყველა ორგანიზაციას მათი ზომის, საქმიანობის სფეროსა და ადგილმდებარეობის მიუხედავად.



მესამე თაობის „სახელმძღვანელო მითითებები“ (G3) შეიცავს ანგარიშგების პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს ანგარიშის შინაარსსა და უზრუნველყოფს მიწოდებული ინფორმაციის ხარისხს, ასევე ინსტრუქციებს „ანგარიშის ფარგლების“ დასადგენად. იგი ასევე შეიცავს ანგარიშის სტანდარტულ კომპონენტებს, რომლებიც შედგება მონაცემებისაგან ორგანიზაციის შესახებ, მენეჯმენტის მიდგომების შესახებ და საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორებისაგან. ინდიკატორთა პროტოკოლები გვაწვდის მითითებებსა და ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოვადგინოთ ინფორმაცია თითოეული ინდიკატორისათვის, აგრეთვე შეიცავს ტერმინთა განმარტებებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიას და სხვა ტექნიკურ მითითებებს.[5]

სექტორული დანართები ავსებს (მაგრამ არ ცვლის) G3 „სახელმძღვანელო მითითებებს“. ამ დანართებში ასახულია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, რომლებიც სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ორგანიზაციებისათვის არის აქტუალური მაგალითად, ნედლეულის მოპოვების, საავტომობილო, საფინანსო სფეროში დასაქმებული ორგანიზაციებისათვის, ასევე სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებისათვის და სხვ. უახლოეს მომავალში შემუშავებული იქნება ეროვნული დანართები, რომელთა გამოყენება შეიძლება „სახელმძღვანელო მითითებებთან“ ერთად და რომლებიც ასახავს მდგრადი განვითარების საკითხებს ქვეყნის ან რეგიონის კონტექსტში.

G3 „სახელმძღვანელო მითითებები“ ასევე შეიცავს GRI ანგარიშგების ფორმატთან შესაბამისობის დონეების სისტემას, რომლის მიზანია წარმოაჩინოს ანგარიშგების ეტაპობრივი განვითარების, გაფართოების და გაღრმავების გზები ანგარიშგების თანმიმდევრული ციკლის საშუალებით. „შესაბამისობის დონეების“ სისტემის მეშვეობით ანგარიშის შემდგენი ორგანიზაციები აცნობენ მკითხველს, GRI ანგარიშგების ფორმატის რომელი კომპონენტები გამოიყენეს ანგარიშის მოსამზადებლად. თითოეული დონისათვის დამახასიათებელი მოთხოვნების გაცნობის მიზნით, გთხოვთ, ეწვიოთ ანგარიშგების გლობალური ინიციატივის ვებ-გვერდს შემდეგ მისამართზე:
(http://www.globalreporting.org/Services/ReportServices/ApplicationLevelsCheck/ApplicationLevelsCriterion/).

[5] გთხოვთ, ეწვიოთ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ვებ-გვერდს და გაეცნოთ G3 „სახელმძღვანელო მითითებებს“, რათა მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია, თუ რა საკითხები უნდა ასახოთ „ორგანიზაციის შესახებ მონაცემებისა“ და „მენეჯმენტის მიდგომების შესახებ მონაცემების“ სექციებში. თითოეული ინდიკატორისათვის ტერმინთა განმარტებებსა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიებს ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ ინდიკატორთა პროტოკოლებში.

ურთიერთკავშირის დამყარება „გლობალური შეთანხმებისა“ და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სტანდარტებს შორის

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) „სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) გამოყენება მრავალმხრივ აღრმავებს და აუმჯობესებს „გლობალურ შეთანხმებაში“ მონაწილე კომპანიების კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან:

- „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) „სახელმძღვანელო მითითებები“ (G3) განსაზღვრავს, თუ როგორ და რამდენად არის დანერგილი და აღსრულებული „გლობალური შეთანხმების“ თითოეული პრინციპი.
- GRI ინდიკატორები და ანგარიშის სტანდარტული კომპონენტები საშუალებას აძლევს კომპანიას საკუთარი საქმიანობა და მიღწეული შედეგები შესაფერის და ადეკვატურ კონტექსტში წარმოაჩინოს (როგორიცაა კომპანიის სტრატეგია და ხედვა, მენეჯმენტის სისტემები და სხვა კონტექსტური ინფორმაცია).
- ანგარიშის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებული რჩევების გარდა, GRI „სახელმძღვანელო მითითებები“ (G3) შეიცავს ინსტრუქციებს, რომლებიც ეხმარება კომპანიებს ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული მრავალი გადაწყვეტილების მიღებისას, რაც აუმჯობესებს „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშის (COP) ხარისხსაც.
- GRI „სახელმძღვანელო მითითებები“ (G3) გვთავაზობს ეტაპობრივ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს მათთვის მისაღებ ვადებში გადავიდნენ ანგარიშგების სრულ ფორმატზე. ამგვარი მიდგომა ეხმიანება „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშგების პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს ანგარიშგების თანმიმდევრულ დახვეწას.
- ის გამოცდილება, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაუგროვდა „ანგარიშგების გლობალურ ინიციატივას“ და, შესაბამისად, აისახა GRI „სახელმძღვანელო მითითებებში“, საშუალებას გვაძლევს, გლობალურად, მრავალი დაინტერესებული მხარის შეხედულებების გათვალისწინებით შევაფასოთ ორგანიზაციის საქმიანობა იმ საკითხების მიხედვით, რომლებიც „გლობალური შეთანხმების“ პრინციპებშია ასახული.

როგორც „გლობალური შეთანხმება“, ისე „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ ეფუძნება მუდმივი წინსვლისა და სრულყოფისაკენ სწრაფვის პრინციპს. ამდენად, ანგარიშის ხარისხსა და ანგარიშგების სფეროსთან დაკავშირებით მათ ერთნაირი მიდგომა აქვთ. თუმცა არც „გლობალური შეთანხმება“ და არც „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ არ ამოწმებს, თუ რამდენად ზუსტია მათი ფორმატის მიხედვით მომზადებულ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ამ მიზნით ორივე ინიციატივამ შეიმუშავა სპეციალური სისტემები: GRI-მ „ფორმატთან შესაბამისობის დონეების სისტემა“, ხოლო „გლობალურმა შეთანხმებამ“ — „გამორჩეული ანგარიშების“ პროგრამა (Notable COP program). ამ სისტემების მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად გამოიყენა კომპანიამ თავის ანგარიშში ანგარიშგების ესა თუ ის ფორმატი (კერძოდ, GRI ან „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშგების ფორმატი). „გლობალური შეთანხმების“ გამორჩეული ანგარიშების ჩამონათვალი იხილეთ ვებ-გვერდზე: http://www.unglobalcompact.or/COP/notables.html.

კომპანიები, რომლებიც ორივე ინიციატივაში იღებენ მონაწილეობას, დიდი ხანია აღნიშნავენ, რომ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ არის „გლობალური შეთანხმების“ პრაქტიკული გამოხატულება.

გეორგ კელი
გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისი
აღმასრულებელი დირექტორი

ქვემოთ მოტანილ ცხრილში შეჯამებულია, თუ როგორ ფარავს GRI „სახელმძღვანელო მითითებების“ ძირითადი კომპონენტები „გლობალური შეთანხმების“ ანგარიშის ძირითად მოთხოვნებს. უფრო დაწვრილებითი ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება „გლობალური შეთანხმების“ ათი პრინციპის ასახვა და ინტეგრირება GRI ფორმატით მომზადებულ მდგრადი განვითარების ანგარიშში, მოცემულია გვერდებზე 11–26. და ბოლოს, მესამე ცხრილში, რომელიც მოცემულია დანართში ა, მოკლედ და შეჯამებულად არის წარმოჩენილი GRI ინდიკატორებისა და „გლობალური შეთანხმების“ ათი პრინციპის შესაბამისობა და ურთიერთკავშირი. დამატებითი ინფორმაციის წყაროები ორივე ინიციატივის შესახებ ჩამოთვლილია დანართში ბ.

გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) და GRI „სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) ძირითადი კომპონენტების შესაბამისობის ცხრილი	
გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ ძირითადი კომპონენტები	**GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტები G3 „სახელმძღვანელო მითითებების“ მიხედვით**
აღმასრულებელი დირექტორის ან მაღალი რანგის მენეჯერის **განცხადება გლობალური შეთანხმების მუდმივი მხარდაჭერის შესახებ**	**სტრატეგია და ანალიზი:** „გლობალური შეთანხმების“ მხარდაჭერის განაცხადი და ათი პირნციპის ზეგავლენა კომპანიის სტრატეგიაზე შესაძლებელია ასახოთ აღმასრულებელი დირექტორის წერილში (რომელიც, GRI ფორმატის თანახმად, ანგარიშში უნდა იყოს ჩართული).
პრაქტიკულ საქმიანობათა აღწერა (ვალდებულებები, კომპანიის პოლიტიკა, მენეჯმენტის სისტემები და საქმიანობა), რაც, საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ასევე პარტნიორულ პროექტებს და გაერთიანებებს, რომლებიც ჩამოყალიბდა გასული წლის განმავლობაში „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელების მიზნით.	**მართვა, ვალდებულებები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა:** ორგანიზაციის მისიის განაცხადის, ფასეულობათა შესახებ განაცხადის, კორპორაციული ქცევის კოდექსის, პრინციპების, ქარტიების ან სხვა ინიციატივათა აღწერა, რომელთაც მხარს უჭერს ორგანიზაცია და რომლებიც ეხმარება მას მდგრადი განვითარების საკითხების მოგვარებაში; ასევე სტრატეგიის შემუშავების, რისკებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის შეფასების პროცესის აღწერა — ეს ინფორმაცია საშუალებას გაძლევთ წარმოაჩინოთ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპებისადმი ორგანიზაციის ერთგულება.
	ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ: ორგანიზაციის მენეჯმენტის მიდგომების მიმოხილვა ცალკეული კატეგორიის (მაგ., ადამიანის უფლებების) მიხედვით საშუალებას გაძლევთ აჩვენოთ, თუ პრაქტიკულად როგორ ხორციელდება „გლობალური შეთანხმების“ პრინციპები.
	საქმიანობის ეფექტურობის შერჩეული ინდიკატორები: ეფექტურობის შერჩეულ ინდიკატორთა მიხედვით უნდა წარმოადგინოთ როგორც რაოდენობრივი მონაცემები, ისე საქმიანობის აღწერა.
შედეგების გაზომვა, რაც მაქსიმალურად ეფუძნება სტანდარტულ ინდიკატორებსა და საზომ სისტემებს.	**საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები:** საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები ასახავს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებში. „გლობალური შეთანხმების“ თითოეული პრინციპის შესრულება აისახება ერთი ან მეტი ინდიკატორის მეშვეობით.

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ „ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲐ G3 ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ქვემოთ მოცემული ცხრილი არც დირექტივას წარმოადგენს და არც ანგარიშში შესატან საკითხთა ნუსხას. ფაქტობრივად, იგი იძლევა დეტალურ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება GRI ანგარიშგების ფორმატის სტანდარტული კომპონენტების მეშვეობით წარმოაჩინოთ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელებით მიღწეული შედეგები. GRI ფორმატის საფუძველზე მომზადებული ანგარიშის ზოგადი გეგმა, სტრუქტურა და თავების განაწილება თავად ანგარიშმგებელმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
სტრატეგია და ანალიზი	**მოკლე ინფორმაცია 1.1** - ორგანიზაციის მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღები პირის განცხადება (ეს შეიძლება იყოს აღმასრულებელი დირექტორი, [დირექტორთა საბჭოს] თავმჯდომარე ან მისი ეკვივალენტური თანამდებობის პირი) იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარება ორგანიზაციისა და მისი სტრატეგიისთვის. **მოკლე ინფორმაცია 1.2** - უმნიშვნელოვანესი ზემოქმედების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების აღწერა.	განცხადება „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების მუდმივი მხარდაჭერის შესახებ. „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების მხარდაჭერის შესახებ განაცხადთან ერთად, აღმასრულებელი დირექტორის წერილში ასევე აღნიშნული უნდა იყოს: ა) „გლობალური შეთანხმების“ ზეგავლენა კომპანიის სტრატეგიასა და მენეჯმენტზე; ბ) „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განსახორციელებლად გატარებული ძირითადი ღონისძიებები და მიღწეული შედეგები.
ორგანიზაციის მოკლე დახასიათება	**მოკლე ინფორმაცია 2.1** - ორგანიზაციის სახელი. **მოკლე ინფორმაცია 2.2 -** ძირითადი სავაჭრო მარკა (ბრენდი), პროდუქცია და/ან მომსახურება. **მოკლე ინფორმაცია 2.3 -** ორგანიზაციის საოპერაციო (ფუნქციონალური) სტრუქტურა – რა განყოფილებებისგან შედგება, აქვს თუ არა ფილიალები, ერთობლივი საწარმოები და ა.შ. **მოკლე ინფორმაცია 2.4 -** ორგანიზაციის სათაო ოფისის ადგილმდებარეობა. **მოკლე ინფორმაცია 2.5 -** რამდენ ქვეყანაში საქმიანობს ორგანიზაცია. დაასახელეთ ქვეყნები, რომლებშიც მიმდინარეობს ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა, ან ის ფილიალები, რომელთაც განსაკუთრებული ზეგავლენა იქონიეს მდგრადი განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. **მოკლე ინფორმაცია 2.6 -** საკუთრების ფორმა და იურიდიული სტატუსი. **მოკლე ინფორმაცია 2.7 -** ბაზრები, რომელთაც ემსახურება ორგანიზაცია (გეოგრაფიულ, სექტორულ და მომხმარებელთა/ბენეფიციართა ჭრილში). **მოკლე ინფორმაცია 2.8 -** ორგანიზაციის სიდიდე. **მოკლე ინფორმაცია 2.9 -** სერიოზული ცვლილებები, რომელიც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში განიცადა ზომის, სტრუქტურის ან საკუთრების ფორმის თვალსაზრისით. **მოკლე ინფორმაცია 2.10 -** საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის მიერ მიღებული ჯილდოები.	არ შეესაბამება გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ კონკრეტულ კომპონენტს. თუმცა ორგანიზაციის სიდიდის, მისი საქმიანობის, სტრუტურისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია საშუალებას აძლევს მკითხველს უკეთ აღიქვას „გლობალური შეთანხმების“ პრინიციპების განსახორციელებლად კომპანიის მიერ გატარებული ღონისძიებები და მათი ეფექტურობა.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
ანგარიშის პარამეტრები	**მოკლე ინფორმაცია 3.1 -** საანგარიშო პერიოდი (მაგ., ფისკალური/კალენდარული წელი), რომელსაც მოიცავს ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია. **მოკლე ინფორმაცია 3.2 -** როდის მომზადდა (თუ მომზადდა) წინა ანგარიში. **მოკლე ინფორმაცია 3.3 -** ანგარიშგების პერიოდულობა (წლიური, ორწლიანი, ა.შ.). **მოკლე ინფორმაცია 3.4 -** საკონტაქტო პირი ანგარიშთან ან მის შინაარსთან დაკავშირებით შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში. **მოკლე ინფორმაცია 3.5 -** ანგარიშის შინაარსის განსაზღვრის პროცესის აღწერა. **მოკლე ინფორმაცია 3.6 -** ანგარიშის ფარგლები (მაგ., ქვეყნები, რომლებშიც საქმიანობს ორგანიზაცია, განყოფილებები, ფილიალები, არენდით გაცემული საწარმოები/დანადგარები, ერთობლივი საწარმოები, მიმწოდებლები და სხვ). **მოკლე ინფორმაცია 3.7 -** მიუთითეთ, თუ არსებობდა კონკრეტული შეზღუდვები ანგარიშის დაფარვის სფეროს ან ფარგლების დადგენისას.	არ შეესაბამება გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ კონკრეტულ კომპონენტს. თუმცა ანგარიშის ფარგლებისა და დაფარვის სფეროს აღწერა საშუალებას აძლევს მკითხველს უკეთ აღიქვას, თუ რა შეზღუდვები არსებობდა ანგარიშის მომზადებისას.
	მოკლე ინფორმაცია 3.8 - რის საფუძველზე შეგაქვთ ანგარიშში ინფორმაცია ერთობლივი საწარმოების, ფილიალების, არენდით გაცემული საწარმოების/დანადგარების, ქვეკონტრაქტორებზე დელეგირებული ფუნქციებისა და სხვა ერთეულების შესახებ, რომელთაც შეიძლება სერიოზული ზეგავლენა მოახდინონ წლიდან წლამდე ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების ერთმანეთთან შედარებაზე და/ან სხვა ორგანიზაციების საქმიანობის შედეგებთან შედარებაზე. **მოკლე ინფორმაცია 3.9 -** მონაცემთა გაზომვის ტექნიკა და დაანგარიშების მეთოდები იმ წინასწარი ვარაუდებისა და ტექნიკების ჩათვლით, რომლებიც საფუძვლად დაედო ანგარიშში შესული ინფორმაციის შეგროვებას და ინდიკატორების გამოყენებას. **მოკლე ინფორმაცია 3.10 -** თუ წინა ანგარიშთან შედარებით შეიცვალა ინფორმაციის ფორმულირებები, წარმოადგინეთ ამგვარი ცვლილების მნიშვნელობისა და მიზეზების განმარტება. **მოკლე ინფორმაცია 3.11 -** ანგარიშის დაფარვის სფეროს, ანგარიშის ფარგლების ან ანგარიშში გამოყენებულ მონაცემთა დაანგარიშების/გაზომვის მეთოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები წინა წლების ანგარიშებთან შედარებით. **მოკლე ინფორმაცია 3.12 -** ანგარიშის შინაარსის საძიებელი, რომელშიც მითითებულია ანგარიშის რომელ ნაწილში რა მონაცემებია წარმოდგენილი. **მოკლე ინფორმაცია 3.13 -** ორგანიზაციის პოლიტიკა და არსებული გამოცდილება ანგარიშის გარე შეფასების განხორციელების თვალსაზრისით.	არ შეესაბამება გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ კონკრეტულ კომპონენტს. თუმცა ანგარიშის ფარგლებისა და დაფარვის სფეროს აღწერა საშუალებას აძლევს მკითხველს უკეთ აღიქვას, თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია საკუთარ „გავლენის სფეროს“.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
მართვა, ვალდებულებები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	**მოკლე ინფორმაცია 4.1 -** ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა, მმართველობის უმაღლესი ორგანოს კომიტეტების ჩათვლით, რომლებიც პასუხს აგებენ კონკრეტულ ამოცანებზე, მაგალითად, ორგანიზაციის სტრატეგიის დადგენასა და ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობაზე. **მოკლე ინფორმაცია 4.2 -** მიუთითეთ, უმაღლესი მმართველობითი ორგანოს თავმჯდომარე ამავდროულად ხომ არ არის აღმასრულებელი მენეჯერიც. **მოკლე ინფორმაცია 4.3 -** თუ ორგანიზაციას უნიტარული საბჭო ჰყავს, მიუთითეთ უმაღლესი მმართველი ორგანოს დამოუკიდებელი და/ან არა-აღმასრულებელი წევრების რაოდენობა. **მოკლე ინფორმაცია 4.4 -** მექანიზმები, რომელთა საშუალებით აქციონერებსა და თანამშრომლებს შეუძლიათ რეკომენდაციები და მითითებები მიაწოდონ ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. **მოკლე ინფორმაცია 4.5 -** როგორია კავშირი უმაღლესი მმართველობითი ორგანოების წევრთა, უფროსი მენეჯერებისა და მაღალი რანგის აღმასრულებლების ანაზღაურებას (სამუშაოდან წასვლისას გადახდილი კომპენსაციის ჩათვლით) და ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს შორის (სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროში საქმიანობის შედეგების ჩათვლით). **მოკლე ინფორმაცია 4.6 -** პროცედურები, რომლებიც უმაღლეს მმართველობით ორგანოებს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი. **მოკლე ინფორმაცია 4.7 -** პროცედურები, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება, აქვთ თუ არა უმაღლესი მმართველობითი ორგანოების წევრებს საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი, რათა წარმართონ ორგანიზაციის სტრატეგია ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში.	1-10 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კომპანიაში მმართველობის სისტემებისა და პასუხისმგებლობის განაწილების აღწერა შესაძლებლობას გაძლევთ აჩვენოთ, თუ როგორ მართავს კომპანია „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შესრულებას (მაგ., არის თუ არა ორგანიზაციაში სპეციალური კომიტეტი, რომელიც „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შესრულებას ზედამხედველობას უწევს).
	მოკლე ინფორმაცია 4.8 - ორგანიზაციაში შემუშავებული მისიის განაცხადი და/ან ფასეულობათა შესახებ განაცხადი; კორპორაციული ქცევის კოდექსი; ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრინციპები, აგრეთვე რა სტადიაზეა მათი განხორციელება.	1-10 პრინციპების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები. თუ კომპანიის მისიის განაცხადი, ფასეულობათა შესახებ განაცხადი, კორპორაციული ქცევის კოდექსი და ა. შ. ასახავს ან ეფუძნება „გლობალური შეთანხმების“ პირნციპებს, ამის შესახებ სწორედ ამ სექციაშია შეგიძლიათ მიუთითოთ.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
მართვა, ვალდებულებები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	**მოკლე ინფორმაცია 4.9 -** უმაღლესი მმართველობითი ორგანოს მიერ გამოყენებული პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ის ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის მიერ საკუთარი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შედეგების შეფასებასა და მართვას (შესაბამისი რისკებისა და შესაძლებლობების ჩათვლით), ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან, ქცევის კოდექსებსა და პრინციპებთან შესაბამისობას. **მოკლე ინფორმაცია 4.10 -** პროცესები, რომლებიც გამიზნულია უმაღლესი მმართველობითი ორგანოს საქმიანობის შესაფასებლად, განსაკუთრებით ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში საქმიანობის ეფექტურობის მიხედვით.	1-10 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. ამ ნაწილში კომპანიას შეუძლია აჩვენოს, თუ რა მექანიზმებს იყენებს, რათა მმართველობის დონეზე განახორციელოს „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების დანერგვისა და ამ მიმართულებით მუდმივი წინსვლის კონტროლი.
	მოკლე ინფორმაცია 4.11 - განმარტეთ, აქვს თუ არა ორგანიზაციას შემუშავებული პრევენციული პრინციპი ან მიდგომა და როგორ ხდება მისი განხორციელება.	მე-7 პრინციპის განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	მოკლე ინფორმაცია 4.12 - ორგანიზაციის გარეთ შემუშავებული ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ქარტიები, პრინციპები ან სხვა ინიციატივები, რომლებსაც ორგანიზაცია იზიარებს ან მიერთებულია მათთან და საქმიანობაში ითვალისწინებს. **მოკლე ინფორმაცია 4.13 -** რომელი ასოციაციების (მაგ., დარგობრივი ასოციაციების) და/ან ინტერესების დამცველი ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია თქვენი ორგანიზაცია.	1-10 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ აქ ნახსენები უნდა იყოს უშუალოდ „გლობალურ შეთანხმებაში“მონაწილეობის ფაქტი, ამ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები შესაძლებლობას გაძლევთ აჩვენოთ, თუ როგორ განაპირობა ორგანიზაციის მიერ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების აღიარებამ და დანერგვამ სხვა მსგავსი დამატებითი ვალდებულებების აღება და მსგავს ინიციატივებში მონაწილეობა.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
მართვა, ვალდებულებები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	**მოკლე ინფორმაცია 4.14 -** დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში. **მოკლე ინფორმაცია 4.15 -** რის საფუძველზე განსაზღვრეთ და შეარჩიეთ, რომელი დაინტერესებული მხარეები უნდა ჩართულიყვნენ საქმიანობის პროცესში. **მოკლე ინფორმაცია 4.16 -** ორგანიზაციის მიდგომა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართ. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან სხვადასხვა სახის თანამშრომლობა (ანუ თანამშრომლობის სიხშირე თანამშრომლობის ფორმებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების მიხედვით). **მოკლე ინფორმაცია 4.17 -** მთავარი საკითხები და პრობლემები, რომლებიც წამოიჭრა ან გამოვლინდა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის შედეგად; ასევე, როგორი იყო ამ საკითხებზე ორგანიზაციის რეაგირება (ანგარიშის მეშვეობით რეაგირების ჩათვლით).	გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ გაცნობა კომპანიის დაინტერესებული მხარეებისათვის. გარდა იმისა, რომ აქ განმარტავთ, თუ როგორ გააცნო ორგანიზაციამ დაინტერესებულ მხარეებს ანგარიში, ამ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები შესაძლებლობას გაძლევთ აგრეთვე აჩვენოთ, თუ რა ზეგავლენა მოახდინეს, თავის მხრივ, დაინტერესებულმა მხარეებმა ამ პრინციპების განხორციელებაზე.
ეკონომიკური ინდიკატორები	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –ეკონომიკური კატეგორია** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	1-ლი, მე-4, მე-6 და მე-7 პრინციპების განხორციელებისთვის გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით გათვალისწინებული „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ იმავდროულად გამოგადგებათ, რომ აღწეროთ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელების მიზნით შექმნილი სისტემები; ასევე იმ ძირითადი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც კომპანიამ მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში შეიტანა საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	EC 1 – შექმნილი და განაწილებული ეკონომიკური ღირებულება შემოსავლების, მიმდინარე საწარმოო ხარჯების, თანამშრომელთა ანაზღაურების, გაცემული შეწირულობებისა და საზოგადოებისათვის გაღებული სხვა ინვესტიციების, გაუნაწილებელი მოგების, ასევე კაპიტალის მიმწოდებლებისა და სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხების ჩათვლით.	არ შეესაბამება გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
ეკონომიკური ინდიკატორები	**EC 2–** ფინანსური დანახარჯები, ორგანიზაციის წინაშე წარმოქმნილი საფრთხეები და შესაძლებლობები, რომლებიც კლიმატის ცვლილებას უკავშირდება.	მე-7 პრინციპის განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები.
	EC 3 – რამდენად ასრულებს ორგანიზაცია ვალდებულებებს, რომლებიც თავის თავზე აიღო საპენსიო პროგრამის ფარგლებში „წინასწარ განსაზღვრული პენსიით“ **EC 4 –** მთავრობისაგან მიღებული მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	EC 5 – ორგანიზაციის დაბალი კატეგორიის მუშაკის სტანდარტული ხელფასისა და ადგილობრივი მინიმალური ხელფასის შეფარდება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად რეგიონებში.	1- ლი პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგები.
	EC 6 – ადგილობრივი მომწოდებლების გამოყენების პოლიტიკა და პრაქტიკა, ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისაგან განხორციელებული შესყიდვების პროცენტული წილი ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად რეგიონებში.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	EC 7 – ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავების პროცედურები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის პროცენტული წილი კომპანიის მენეჯმენტის ზედა რგოლის შემადგენლობაში, ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი რეგიონების მიხედვით.	მე-6 პრინციპის განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.
	EC 8 – კომერციული, ნატურით ან საზოგადოებისათვის სასიკეთო/საქველმოქმედო საქმიანობის ფორმით ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები და საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების განვითარება, ასევე ამ გზით მოხდენილი ზეგავლენა. **EC 9 –** მნიშვნელოვანი ირიბი ეკონომიკური ზემოქმედების მასშტაბი, ანალიზი და აღწერა.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
გარემოსდაცვითი ინდიკატორები	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –გარემოს დაცვა** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; ორგანიზაციული პასუხისმგებლობა; ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება; მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირება; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	მე-7, მე-8 და მე-9 პრინციპების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით გათვალისწინებული „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ გამოდგება, რომ აღიწეროს „გლობალური შეთანხმების“ გარემოსდაცვითი პრინციპების განსახორციელებლად შექმნილი სისტემები; ასევე იმ ძირითადი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც კომპანიამ განახორციელა მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	EN 1 – მოხმარებული ნედლეული/მასალა წონის ან მოცულობის მითითებით.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 2 – ორგანიზაციის მიერ მოხმარებული რეციკლირებული მასალის პროცენტული წილი.	მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 3 – ენერგიის პირდაპირი მოხმარება, დათიშული პირველადი ენერგორესურსების (ენერგიის პირველადი წყაროების) მიხედვით. **EN 4** – ენერგიის არაპირდაპირი მოხმარება, დათიშული პირველადი ენერგორესურსების (ენერგიის პირველადი წყაროების) მიხედვით.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 5 – ენერგიის მოხმარების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ამაღლების შედეგად დაზოგილი ენერგია.	მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
გარემოსდაცვითი ინდიკატორები	**EN 6 –** ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ენერგოეფექტურ ან განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული პროდუქციისა და მომსახურების შემუშავებისკენ; ასევე, ამ ინიციატივების შედეგად მიღწეული ენერგომოხმარების შემცირება. **EN 7 –** ენერგიის არაპირდაპირი მოხმარების შემცირებისკენ მიმართული ინიციატივები და მიღწეული შედეგები.	მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	EN 8 – წყლის მთლიანი ამოღება, დათიშული წყლის წყაროების მიხედვით. **EN 9 –** წყლის წყაროები, რომლებზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ორგანიზაციის წყალაღებამ.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 10 – რეციკლირებული და ხელმეორედ გამოყენებული წყლის მთლიანი მოცულობა და პროცენტული წილი.	მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 11 – ორგანიზაციის კუთვნილი, იჯარით ან მართვის უფლებით აღებული იმ მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა და ზომა, რომლებიც მდებარეობს დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ესაზღვრება მათ, ან მდებარეობს დაცული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ აქვს მაღალი ღირებულება ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. **EN 12 –** დაცული ტერიტორიებისა და მაღალი ღირებულების მქონე სხვა ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე კომპანიის საქმიანობით, პროდუქციით და მომსახურებით მოხდენილი მნიშვნელოვანი ზეგავლენა. **EN 13 –** დაცული ან აღდგენილი ჰაბიტატები.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	EN 14 – ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის მართვის სტრატეგია, მიმდინარე აქტივობები და სამომავლო გეგმები.	მე-8 პრინციპის განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	EN 15 – „ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის“ წითელ ნუსხასა და სახელმწიფოს მიერ დაცულ სახეობათა ნუსხაში შეტანილი სახეობების რაოდენობა, რომლებიც სახლობენ იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობა, თითოეული სახეობისთვის გადაშენების რისკის ხარისხის მითითებით. **EN 16 –** სათბურის აირების პირდაპირი და არაპირდაპირი გაფრქვევების მთლიანი ოდენობა მასის მითითებით. **EN 17 –** სათბურის აირების სხვა მნიშვნელოვანი არაპირდაპირი გაფრქვევების მთლიანი ოდენობა მასის მითითებით.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგები.
	EN 18 – სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებისკენ მიმართული ინიციატივები და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგები.	მე-7, მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
გარემოსდაცვითი ინდიკატორები	**EN 19** – ოზონდამშლელ ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობა, მასის მითითებით. **EN 20** – NOx, SOx და სხვა მნიშვნელოვანი დამაბინძურებლების ატმოსფეროში გაფრქვევა, დამაბინძურებელი ნივთიერებების ტიპისა და მასის მითითებით. **EN 21**– წყალჩაშვების მთლიანი მოცულობა, დათიშული ჩამდინარე წყლების ხარისხისა და მიმღები ობიექტების მიხედვით. **EN 22**– ნარჩენების მთლიანი მასა, დათიშული ნარჩენების ტიპისა და გაუვნებლყოფის მეთოდების მიხედვით. **EN 23** – მნიშვნელოვანი გაჟონვების შემთხვევათა რაოდენობა და მათი მოცულობა. **EN 24** – ტრანსპორტირებული, იმპორტირებული, ექსპორტირებული ან გადამუშავებული ნარჩენების წონა, რომლებიც ბაზელის კონვენციის I, II, III და VIII დანართების შესაბამისად მიჩნეულია სახიფათოდ; ასევე ქვეყნის გარეთ გატანილი ნარჩენების პროცენტული წილი. **EN 25** – წყლის ობიექტები/წყალსატევები და მათთან დაკავშირებული ჰაბიტატები, მათი ზომა, დაცულობის სტატუსი და ღირებულება ბიომრავალფეროვნების მიხედვით, რომლებზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ანგარიშმგებელი ორგანიზაციის წყალჩაშვებამ და მისი საწარმოო ობიექტების ტერიტორიებზე წარმოქმნილმა ზედაპირულმა გადანარეცხმა და გაღვრილმა წყლებმა.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგები.
	EN 26 – ინიციატივები, რომელთა მიზანია გარემოზე კომპანიის პროდუქციისა და მომსახურების ზემოქმედების შემცირება, ასევე ამ ინიციატივების შედეგად მიღწეული შემცირების მასშტაბი.	მე-7, მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	EN 27 – გაყიდული პროდუქციისა და მისი შესაფუთი მასალის იმ ნაწილის პროცენტული წილი, ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რომელიც შეგროვდა, გადამუშავდა და ხელმეორედ იქნა გამოყენებული.	მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგები.
	EN 28 – გარემოსდაცვითი კანონებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო დაწესებული მნიშვნელოვანი ჯარიმების ფულადი ღირებულება და არამონეტარული სანქციების მთლიანი ოდენობა. **EN 29** – ორგანიზაციის საქმიანობისთვის საჭირო პროდუქციის, საქონლისა და ნედლეულის, ასევე ორგანიზაციის თანამშრომელთა/მუშახელის ტრანსპორტირებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგები.
	EN 30 – გარემოსდაცვითი ხარჯების და ინვესტიციების მთლიანი ოდენობა, დათიშული მათი დანიშნულების მიხედვით.	მე-7, მე-8 და მე-9 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
შრომითი საქმიანობა და ღირსეული შრომა	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –შრომითი საქმიანობა და ღირსეული შრომა** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგი საკითხებისადმი: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; ორგანიზაციული პასუხისმგებლობა; ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება; მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირება; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	1-ლი, მე-3 და მე-6 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით გათვალისწინებული „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ გამოგადგებათ, რომ აღწეროთ ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემები, რომლებიც შეიქმნა შრომითი საქმიანობის სფეროში „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განსახორციელებლად; ასევე იმ ძირითადი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც კომპანიამ განახორციელა მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	LA 1 – ორგანიზაციის მთლიანი შრომითი რესურსები (ყველა სახის მუშაკთა საერთო რაოდენობა), დათიშული დასაქმების ტიპების, შრომითი ხელშეკრულების ტიპებისა და კომპანიის საქმიანობის რეგიონების მიხედვით.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	LA 2 – თანამშრომელთა დენადობის აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებელი, დათიშული სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით.	მე-6 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	LA 3 – სრულ შტატზე მომუშავე თანამშრომლებისთვის დაწესებული ფინანსური დახმარება და შეღავათები, რომლებიც არ ვრცელდება დროებით ან ნახევარ შტატზე მომუშავე თანამშრომლებზე, დიფერენცირებული საქმიანობის ძირითადი ტიპების მიხედვით.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	LA 4 – იმ თანამშრომელთა პროცენტული წილი, რომლებზეც ვრცელდება „კოლექტიური შეთანხმების ხელშეკრულებები“.	1- ლი და მე- 3 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
შრომითი საქმიანობა და ღირსეული შრომა	**LA 5 –** ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებამდე შეტყობინებისათვის საჭირო მინიმალური ვადა; გათვალისწინებულია თუ არა ეს ვადები „კოლექტიური შეთანხმების ხელშეკრულებებში“.	მე-3 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	LA 6 – მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ერთად თანამშრომელთა რა პროცენტული წილი მონაწილეობს [სამუშაო ადგილზე] ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიციალურ ერთობლივ კომიტეტებში, რომელთა საშუალებით ხორციელდება პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის/მკურნალობის და შრომის უსაფრთხოების პროგრამების მონიტორინგი, ასევე ამ სფეროში რეკომენდაციების მომზადება. **LA 7–** საწარმოო ტრავმების, პროფესიული დაავადებების, დაკარგული დღეებისა და სამუშაოს გაცდენის კოეფიციენტი, ასევე სამუშაოსთან დაკავშირებული გარდაცვალების შემთხვევების სრული რაოდენობა, ორგანიზაციის საქმიანობის რეგიონების მიხედვით.	1 - ლი პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	LA 8 – ინფორმირების, სწავლების/ტრენინგების, საკონსულტაციო, პრევენციული და რისკის კონტროლის არსებული პროგრამები, რომლებიც დახმარებას უწევს თანამშრომლებს, მათ ოჯახებსა და საზოგადოების წევრებს მძიმე დაავადებებთან ბრძოლასა და თავიდან აცილებაში. **LA 9 –**ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც შეტანილია პროფესიულ კავშირებთან დადებულ ოფიციალურ ხელშეკრულებებში.	1 -ლი პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	LA 10 –წელიწადში საშუალოდ რამდენი საათი იხარჯება ერთი თანამშრომლის სწავლებაზე/ტრენინგებზე თანამშრომელთა კატეგორიების მიხედვით. **LA 11 –** უნარ-ჩვევების განვითარებისა და უწყვეტი სწავლების პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა ხანგრძლივ დასაქმებას და ეხმარება მათ კარიერის დასრულების შემდეგ. **LA 12 –** იმ თანამშრომელთა პროცენტული წილი, რომლებიც რეგულარულად გადიან საკუთარი საქმიანობის ეფექტურობისა და პროფესიული განვითარების შეფასებას.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	LA 13 – მმართველობითი ორგანოების შემადგენლობისა და სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომელთა დათიშვა გენდერული, ასაკობრივი, უმცირესობის ჯგუფებისათვის მიკუთვნებისა და მრავალფეროვნების სხვა მაჩვენებლების მიხედვით. **LA 14 –** მამაკაცთა და ქალთა ძირითადი (საბაზო) ხელფასების შეფარდება თანამშრომელთა კატეგორიების მიხედვით.	1-ლი და მე-6 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
ადამიანის უფლებათა დაცვა	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –ადამიანის უფლებები** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; ორგანიზაციული პასუხისმგებლობა; ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება; მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირება; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით მოთხოვნილი „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ გამოდგებათ, რომ აღწეროთ ორგანიზაციის სისტემები, რომლებიც შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განსახორციელებლად; ასევე დაგეხმარებათ იმ ძირითადი ცვლილებების აღწერაში, რომლებიც კომპანიამ განახორციელა მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	HR 1 – იმ მნიშვნელოვანი საინვესტიციო შეთანხმებების საერთო რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებიც შეიცავენ დებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ან რომლებიც შემოწმდა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.	1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.
	HR 2 – იმ მნიშვნელოვანი მომწოდებლების და კონტრაქტორების პროცენტული წილი, რომელთაც გაიარეს შემოწმება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით; აგრეთვე შემოწმების საპასუხოდ განხორციელებული ღონისძიებები.	1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგი.
	HR 3 – ჯამური ხანგრძლივობა (საათებში) ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგებისა, რომლებიც ეხება ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით და რომლებიც არსებითია ორგანიზაციის საქმიანობისათვის; ასევე იმ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ეს ტრენინგები გაიარეს.	1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპების განხორციელებით მიღებული შედეგი.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
ადამიანის უფლებათა დაცვა	**HR 4 –** დისკრიმინაციის შემთხვევების საერთო რაოდენობა და საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები.	1-ლი, მე-2, და მე-6 პრინციპების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.
	HR 5 – საქმიანობები, რომელთა ფარგლებში ასოციაციებში გაერთიანებისა და კოლექტიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის თავისუფლება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს; ასევე ამ უფლებათა დასაცავად გატარებული ღონისძებები.	1-ლი, მე-2, და მე-3 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	HR 6 – საქმიანობები, რომელთაც ახლავს ბავშვთა შრომის გამოყენების დიდი რისკი, აგრეთვე ბავშვთა შრომის აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები.	1-ლი, მე-2, და მე-5 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	HR 7– საქმიანობები, რომელთა ფარგლებშიც აღინიშნება იძულებითი და ძალდატანებითი შრომის გამოყენების დიდი რისკი, აგრეთვე იძულებითი და ძალდატანებითი შრომის აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები.	1-ლი, მე-2, და მე-4 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	HR 8 – უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა რა პროცენტულმა წილმა გაიარა ტრენინგი/სწავლება ორგანიზაციის პოლიტიკასა და პროცედურებზე, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტს და არსებითია ორგანიზაციის საქმიანობისთვის.	1-ლი და მე-2 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	HR 9 – ძირძველი მოსახლეობის უფლებების დარღვევის შემთხვევათა საერთო რაოდენობა და ამგვარი დარღვევების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები.	1-ლი და მე-2 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგი.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
საზოგადოება	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –საზოგადოება** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; ორგანიზაციული პასუხისმგებლობა; ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება; მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირება; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით მოთხოვნილი „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ გამოდგებათ, რომ აღიწეროს ორგანიზაციის სისტემები, რომლებიც შეიქმნა კორუფციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განსახორციელებლად; ასევე იმ ძირითადი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც კომპანიამ განახორციელა მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	SO 1 – ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებები და პროგრამები, რომელთა მიზანია საზოგადოებაზე/თემზე ორგანიზაციის საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის შეფასება და მართვა, ამ ქმედებებისა და პროგრამების ხასიათი, მოქმედების სფერო და ეფექტიანობა მათი დაწყების, მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებზე.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	SO 2 – ორგანიზაციის იმ ერთეულების (ქვედანაყოფების, ფილიალებისა და ა. შ.) აბსოლუტური რაოდენობა და პროცენტული წილი, რომლებშიც განხორციელდა კორუფციასთან დაკავშირებული რისკის შეფასება. **SO 3** – ორგანიზაციის თანამშრომელთა პროცენტული წილი (თანამშრომელთა მთლიან ოდენობასთან შეფარდებით), რომლებმაც გაიარეს ტრენინგები ორგანიზაციის ანტიკორუფციული პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ.	მე-10 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	SO 4 – კორუფციულ ქმედებათა აღმოჩენის შემთხვევებში გატარებული ღონისძიებები.	მე-10 პრინციპის განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
საზოგადოება	**SO 5 –** ორგანიზაციის პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და მისი მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და ლობირების პროცესში.	1-10 პრინციპების განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები.
	SO 6 – პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული ინსტიტუტების სასარგებლოდ გაღებული ფინანსური და ნატურით შეწირულობის მთლიანი მოცულობა.	მე-10 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	SO 7 – კონკურენციის შეფერხებასთან (არაჯანსაღ კონკურენციასთან), მონოპოლიურ პრაქტიკასა და ანტი-მონოპოლიურ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ სამართლებრივ ქმედებათა საერთო რაოდენობა და მათი შედეგები. **SO 8 –** ორგანიზაციის მიერ კანონებისა და ნორმატიული მოთხოვნების დარღვევის გამო გადახდილი მნიშვნელოვანი ჯარიმების ფულადი გამოხატულება და არამონეტარული სანქციების მთლიანი რაოდენობა.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
პროდუქციაზე პასუხისმგებლობა	**ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ –პროდუქციაზე პასუხისმგებლობა** მოკლედ აღწერეთ მენეჯმენტის მიდგომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მიზნები და საქმიანობის ეფექტურობა; ორგანიზაციის პოლიტიკა; ორგანიზაციული პასუხისმგებლობა; ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება; მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირება; დამატებითი კონტექსტური ინფორმაცია.	1-ლი და მე-8 პრინციპების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები. GRI ფორმატით გათვალისწინებული „ინფორმაცია მენეჯმენტის მიდგომების შესახებ“ იმავდროულად გამოდგება, რომ აღწეროთ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელების მიზნით შექმნილი სისტემები; ასევე იმ ძირითადი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც კომპანიამ განახორციელა მენეჯმენტის სისტემებში ან სტრუქტურებში საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შემდგომი დანერგვის მიზნით.
	PR 1 – პროდუქციისა და მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ეტაპები, რომლებზეც ხდება მათი ზეგავლენის შეფასება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ამგვარი ზეგავლენის გაუმჯობესების მიზნით; ასევე, იმ მნიშვნელოვანი პროდუქციის და მომსახურების პროცენტული ნილი, რომელიც ექვემდებარება მსგავს პროცედურებს.	1-ლი პრინციპის განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

GRI „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) სტანდარტული კომპონენტების სექცია	GRI მდგრადი განვითარების ანგარიშის სტანდარტული კომპონენტი „ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ (G3) მიხედვით	გაეროს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) შესაბამისი კომპონენტი
პროდუქციაზე პასუხისმგებლობა	**PR 2 –** იმ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ნებაყოფლობით კოდექსებთან შეუსაბამობის შემთხვევათა რიცხვი, რომლებიც არეგულირებენ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პროდუქციისა და მომსახურების ზეგავლენას მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში; აგრეთვე, ამგვარ შეუსაბამობათა საერთო რაოდენობის დათიშვა მათი შედეგების კატეგორიების მიხედვით.	1-ლი პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	PR 3 – პროდუქციისა და მომსახურების შესახებ რა სახის თანდართული ინფორმაციის წარმოდგენა მოითხოვება შესაბამისი პროცედურებით; ასევე, მნიშვნელოვანი პროდუქციის და მომსახურების რამდენ პროცენტზე ვრცელდება ამგვარი მოთხოვნა ინფორმაციაზე.	მე-8 პრინციპის განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.
	PR 4 – იმ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ნებაყოფლობით კოდექსებთან შეუსაბამობის შემთხვევათა რიცხვი, რომლებიც არეგულირებენ პროდუქციისა და მომსახურების შესახებ თანდართული ინფორმაციის მიწოდებასა და მარკირებას; აგრეთვე ამგვარ შეუსაბამობათა საერთო რაოდენობის დათიშვა მათი შედეგების კატეგორიების მიხედვით.	მე-8 პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	PR 5 – მომხმარებლების საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ მიმართული საქმიანობები, იმ კვლევების შედეგების ჩათვლით, რომლებიც ავლენენ მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს. **PR 6 –** პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მარკეტინგულ კომუნიკაციასთან (რეკლამის, პროდუქციის პოპულარიზაციის და სპონსორობის ჩათვლით) დაკავშირებული კანონების, სტანდარტებისა და ნებაყოფილობითი კოდექსების დაცვას. **PR 7 –** მარკეტინგულ კომუნიკაციასთან (რეკლამის, პროდუქციის პოპულარიზაციის და სპონსორობის ჩათვლით) დაკავშირებულ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ნებაყოფლობით კოდექსებთან შეუსაბამობის შემთხვევათა სრული რაოდენობა, დიფერენცირებული ამგვარ შეუსაბამობათა შედეგების კატეგორიების მიხედვით.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.
	PR 8 – მომხმარებელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და მომხმარებელთა მონაცემების დაკარგვის თაობაზე შეტანილი დასაბუთებული საჩივრების მთლიანი რაოდენობა.	1-ლი პრინციპის განხორციელებით მიღებული შედეგი.
	PR 9 – პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებისა და გამოყენების შესახებ კანონებთან და ნორმატიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო დაწესებული მნიშვნელოვანი ჯარიმების ფულადი გამოხატულება.	არ შეესაბამება „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ (COP) რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ: ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ორგანიზაციის მიერ GRI „მდგრადი განვითარების ანგარიშისა“ და გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ მომზადება უწყვეტი პროცესია, რომელიც მისი გამოქვეყნებით არ იწყება და არ სრულდება.

ანგარიშგება უნდა განიხილოთ როგოც გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი პროცესის ნაწილი, პროცესისა, რომლის ფარგლებშიც ხდება ორგანიზაციული სტრატეგიის განსაზღვრა, სამოქმედო გეგმების განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. მართალია, ორგანიზაციის ფასეულობები და საქმიანობა წარმართავს ანგარიშგების პროცესს, მაგრამ ანგარიშგების პროცესი, თავის მხრივ, განაპირობებს ორგანიზაციის ქმედებებს.

ამგვარად, ანგარიშგების პროცესი გვევლინება მუდმივი წინსვლისა და სრულყოფის საფუძვლად, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას გახდეს უფრო ეფექტური, უფრო ფოკუსირებული და უფრო მდგრადი. „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ და „მდგრადი განვითარების ანგარიშის“ მომზადება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი აუცილებელია, რათა კომპანიამ შეძლოს მდგრადი განვითარების საკუთარი ხედვის განხორციელება. ანგარიში, ფაქტობრივად, არის ნიშნული, საიდანაც კვლავ იწყება დახვეწის პროცესი. ის ერთდროულად ამ პროცესის წინა ციკლის დასასრულიც არის და შემდგომი ციკლის დასაწყისიც.

დანართი ა: „გლობალური შეთანხმების“ პრინციპებისა და „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ინდიკატორების შესაბამისობის ცხრილი

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს GRI ანგარიშგების ფორმატის (G3) რომელი ინდიკატორები შეესაბამება „გლობალური შეთანხმების“ თითოეულ პრინციპს. თუ თქვენს „ანგარიშში მიღწეული შედეგების შესახებ“ (COP) ჩართავთ ამგვარ ცხრილს და მიუთითებთ, ანგარიშის რომელ გვერდზე არის წარმოდგენილი მონაცემები თითოეული პრინციპის/ინდიკატორის შესახებ, ეს დაეხმარება ანგარიშის მკითხველებს ადვილად მოძებნონ ინფორმაცია კომპანიის მიერ „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების განხორციელების შესახებ.

სფერო	გლობალური შეთანხმების პრინციპები	შესაბამისი GRI ინდიკატორები
ადამიანის უფლებები	პრინციპი 1 — ბიზნესი მხარს უნდა უჭერდეს და პატივს სცემდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებს.	EC 5, LA4, LA6 – 9; LA13 – 14, HR1 – 9, SO5, PR1 – 2, PR 8
	პრინციპი 2 — ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის თანამონაწილე.	HR 1 – 9, SO5
შრომითი საქმიანობა	პრინციპი 3 — ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლებას და კოლექტიური შრომითი შეთანხმების უფლების აღიარებას.	LA 4 – 5, HR1 – 3, HR5, SO5
	პრინციპი 4 — ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ყველა ფორმის იძულებითი და ძალდატანებითი შრომის აღმოფხვრას.	HR1 – 3, HR7, SO5
	პრინციპი 5 — ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვთა შრომის რეალურ გაუქმებას.	HR1 – 3, HR6, SO5
	პრინციპი 6 — ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრას.	EC7, LA2, LA13 – 14, HR1 – 4, SO 5
გარემოს დაცვა	პრინციპი 7 — ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გარემოსდაცვითი საფრთხეების მიმართ პრევენციულ მიდგომას.	EC2, EN18, EN26, EN30, SO5
	პრინციპი 8 — ბიზნესმა უნდა განახორციელოს ინიციატივები, რათა ხელი შეუწყოს გარემოს დაცვის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას.	EN1 – 30, SO5, PR3 – 4
	პრინციპი 9 — ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებას.	EN2, EN 5 – 7, EN 10, EN 18, EN 26 – 27, EN30, SO5
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	პრინციპი 10 — ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის აღმოფხვრას, გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.	SO2–6

GRI G3 ინდიკატორებსა და „გლობალური შეთანხმების“ პრინციპების შესაბამისობაში მოყვანის ონლაინ სისტემა ხელმისაწვდომია „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ვებ-გვერდზე: (http//www.global.reporting.org/griportal/GRI/G3Online/frmManagementNorms.aspx/)

დანართი ბ: რესურსები

ანგარიშგება ათასწლეულის განვითარების მიზნებში ბიზნესის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ
(Communicating Business Contributions to the Millennium Development Goals)
http://www.globalreporting.org

გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგების“ ვებ-გვერდის ბმული
(Global Compact Communication on Progress website)
http://www.unglobalcompact.org/CommunicatingProgress/index.html

„გლობალური შეთანხმების“ ინიციატივის ურღვევობისკენ მიმართული ღონისძიებები
(Global Compact Integrity Measures)
http://www.unglobalcompact.org/AboutTheGC/integrity.html

GRI მდგრადი განვითარების ანაგარიშის მომზადების „სახელმძღვანელო მითითებები“
(GRI Sustainability Reporting Guidelines)
http://www.globalreporting.org

GRI მდგრადი განვითარების ანგარიშგების პერიოდულობა: მცირე და არც თუ მცირე ორგანიზაციების მეგზური.
ანგარიშგების გლობალური ინიციატივა, 2007 წ.
(The GRI sustainability reporting cycle: A handbook for small and not-so-small organizations. Global Reporting Initaitive, 2007)
http://www.globalreporting.org/sme

გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგების“ პიონერები
(Leading the Way on Communication on Progress)
http://www.unglobalcompact.org/docs/communication_on_progress/4.3/leading_the_way.pdf

„მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის“ მომზადების პრაქტიკული სახელმძღვანელო
(Practical Guide to Communication on Progress)
http://www.unglobalcompact.org/docs/communication_on_progress/4.3/pock_guide.pdf

უფრო მაღალი სტანდარტები – ფასეულობათა ჩამოყალიბება გაეროს „გლობალურ შეთანხმებასთან“ ერთად.
კ. ფუსლერი, ა. კრამერი, ს. ვან დერ ვეხტი, 2004
(Raising the Bar – Creating Value with the United Nations Global Compact. Claude Fussler, Aron Cramer, and Sebastian van der Vegt, Greenleaf Publishing, 2004)
http://www.greenleaf-publishing.com/catalogue/rtbar.htm

შედეგების შეჯამება – მდგრადი განვითარების ანგარიშგება
(Striking the Balance – Sustainable Development Reporting, Heemskerk, Pistorio, Scicluna, 2002)
იხილეთ მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნესის საბჭოს მდგრადი განვითარების ანგარიშგების ვებ-გვერდი:
http://www.sdportal.org. შემდეგი ბმული: http://qpub.wbcsd.org/web/sdportal/publication/20030106_sdreport.pdf

როგორ შეიძლება თქვენი კომპანია მიუერთდეს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას

„გლობალური შეთანხმება“ არის ნებაყოფილობითი ინიციატივა, რომლის მიზანია გააერთიანოს ბიზნესკომპანიები და სხვა ორგანზაციები. იმისათვის, რომ გახდეს „გლობალური შეთანხმების“ მონაწილე, ორგანიზაციამ:

1. აღმასრულებელი დირექტორის სახელით წერილი უნდა გაუგზავნოს გაეროს გენერალურ მდივანს. წერილი დამოწმებული უნდა იყოს დირექტორთა საბჭოს მიერ და მასში მითითებული უნდა იყოს, რომ ორგანიზაცია მხარს უჭერს „გლობალურ შეთანხმებას“ და იზიარებს მის პრინციპებს;

2. უნდა დაიწყოს საკუთარ ბიზნეს-საქმიანობაში ცვლილებების შეტანა, რათა „გლობალური შეთანხმება“ და მისი პრინციპები ორგანიზაციის სტრატეგიის, კულტურისა და ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი გახდეს;

3. საჯაროდ მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს „გლობალურ შეთანხმებას“ და მის პრინციპებს კომუნიკაციის ისეთი საშუალებებით, როგორიც არის პრესრელიზი, სიტყვით გამოსვლა და ა.შ.;

4. თავის ყოველწლიურ ანგარიშში ან სხვა მსგავსი ტიპის კორპორაციულ ანგარიშში (მაგ., მდგრადი განვითარების ანგარიშში) უნდა აღწეროს, თუ როგორ გამოხატავს იგი „გლობალური შეთანხმების“ მხარდაჭერას და რა გზით ახორციელებს მის ათ პრინციპს (ანუ წარმოადგინოს გლობალური შეთანხმების „მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში“).

unglobalcompact@un.org

როგორ შეიძლება თქვენმა კომპანიამ დაიწყოს ანგარიშგება „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) ფორმატის მიხედვით

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივა“ (GRI) მიესალმება თქვენს მონაწილეობას ინიციატივაში, იმის განურჩევლად, ანგარიშგების თვალსაზრისით დამწყები, გამოცდილი თუ საშუალო გამოცდილების მქონე ორგანზაცია ბრძანდებით.

GRI ანგარიშგების ფორმატი მიზნად ისახავს შეასრულოს საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი სისტემის ფუნქცია, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ანგარიშგება ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების შესახებ. ეს სისტემა გამოსადეგია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, მისი სიდიდის, საქმიანობის სფეროს თუ ადგილმდებარეობის მიუხედავად. GRI ანგარიშგების ფორმატი მოიცავს როგორც ზოგადი შინაარსის, ასევე ცალკეული სფეროებისათვის აქტუალურ მასალებს. სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ორგანიზაციებმა ამ ფორმატის მიხედვით აწარმოონ ანგარიშგება მდგრად განვითარებაზე საკუთარი საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის შესახებ.

იმისათვის, რომ დაიწყოთ ანგარიშგება:

1. GRI ვებ-გვერდიდან გადმოიწერეთ „სახელმძღვანელო მითითებების“ მესამე ვერსია (G3);
2. გამოიყენეთ „ანგარიშგების პრინციპები“, რათა სწორად განსაზღვროთ, თუ რა უნდა შეიტანოთ თქვენს ანგარიშში და როგორ უნდა წარმოადგინოთ ინფორმაცია. შემდეგ, ანგარიშის მოსამზადებლად გამოიყენეთ სახელმძღვანელო მითითებებში განხილული „ანგარიშის სტანდარტული კომპონენტები“;
3. დაარეგისტრირეთ თქვენი ანგარიში ონლაინ-რეჟიმში; GRI „შესაბამისობის დონეების“ სისტემის კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვრეთ, რამდენად სრულად გამოიყენეთ GRI ანგარიშგების ფორმატი (ანუ განსაზღვრეთ GRI ანგარიშგების ფორმატთან შესაბამისობის დონე);
4. შეგიძლიათ თხოვნით მიმართოთ GRI-ს, რათა მან შეამოწმოს, სწორად მიანიჭეთ თუ არა თქვენს ანგარიშს „შესაბამისობის დონე“ და შეიტანოს თქვენი ანგარიში საკუთარ მონაცემთა ონლაინ-ბაზაში.

ეწვიეთ GRI ვებ-გვერდს და გაეცანით, როგორ შეიძლება GRI-ს ქსელში აქტიურად ჩართვა. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ GRI-ს შემუშავებულ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, რომლებიც დიდ დახმარებას გაგიწევთ ანგარიშის მომზადების დროს.

www.globalreporting.org

ქართული თარგმანი

წინამდებარე სახელმძღვანელოს („ურთიერთკავშირის დამყარება“) ქართული თარგმანი მოამზადა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“.

თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ა
ტელ: (+99532)399019; 250711
ფაქსი: (+99532)250711
ელ-ფოსტა: **office@csrdg.ge**
www.csrdg.ge

ქართულ თარგმანზე მუშაობდნენ:

ლელა ხოფერია
მირანდა ბერიშვილი

თარგმანი მომზადდა ფონდ „ოქსფამ-ნოვიბის“ ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

„გლობალური შეთანხმების“ პრინციპები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „გლობალური შეთანხმება“ მოუწოდებს კომპანიებს გაიაზრონ, მხარი დაუჭირონ და თავიანთი გავლენის სფეროში აამოქმედონ ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის სტანდარტების, გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირეული ფასეულობები.

„გლობალური შეთანხმების“ პრინციპებია:

ადამიანის უფლებები

პრინციპი 1: ბიზნესი მხარს უნდა უჭერდეს და პატივს სცემდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებს;

პრინციპი 2: ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის თანამონაწილე.

შრომითი საქმიანობა

პრინციპი 3: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლებას და კოლექტიური შრომითი შეთანხმების უფლების აღიარებას;

პრინციპი 4: ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ყველა ფორმის იძულებითი და ძალდატანებითი შრომის აღმოფხვრას;

პრინციპი 5: ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვთა შრომის რეალურ გაუქმებას;

პრინციპი 6: ბიზნესი ხელს უნდა უწყობდეს დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

გარემოს დაცვა

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გარემოსდაცვითი საფრთხეების მიმართ პრევენციულ მიდგომას;

პრინციპი 8: ბიზნესმა უნდა განახორციელოს ინიციატივები, რათა ხელი შეუწყოს გარემოს დაცვის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას;

პრინციპი 9: ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებას.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

პრინციპი 10 - ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის აღმოფხვრას, გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

გამოაქვეყნა: United Nations Global Compact Office | unglobalcompact.org
საკონტაქტო ელ-ფოსტა: unglobalcompact@un.org
May 2007 | 2.5M